



თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბმანება

N181/04 -ის თანახმად

სს „თელასი“-ს პასუხისმგებელი პირების განცხადება

სს „თელასი“-ს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს სს „თელასი“-ს აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობას და მოგება-ზარალს.

ასევე წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს სს „თელასი“-ს საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე:

დ.ე. გოგოლაძე

გენერალური დირექტორი :

ს.ნ. კობიძე

ფინანსური დირექტორი :

ა.ლ. ბალჩუგოვი

სააქციო საზოგადოება „თელასი“

ანგარიში
2023 წლის 1-ელ ნახევარში მუშაობის
შედეგების მიხედვით

გენერალური დირექტორი



ს.ნ. კობცევი

ფინანსური დირექტორი



ა.ლ. ბალჩუგოვი

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

შინაარსი

	გვ.
I. საზოგადოების ბიზნეს-მოდელი მიმოხილვა	3
II. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	4
საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები.....	4
საზოგადოების ოპერაციული საქმიანობის შედეგების სტრუქტურა.....	5
საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი	6
საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.....	8
III. საინვესტიციო საქმიანობა.....	8
IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა	11
V. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ..	14
VI. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებით, შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემის მიმოხილვა	16
VII. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა.....	17
VIII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა.....	18
IX. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა	19
X. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა.....	21
XI. საზოგადოების რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა	21
XII. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	24
XIII. გარემოს დაცვა	28
XIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის დაცვის შესახებ	29
XV. დამატებითი ინფორმაცია აქციონერებისთვის.....	30

I. საზოგადოების ბიზნეს-მოდელის მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება „თელასი“ 2021 წლის 1 ივლისამდე ახორციელებდა ელექტროენერგიის განაწილების და მისი მომხმარებლებისთვის მიწოდების საქმიანობას. საქართველოში ელექტროენერგეტიკის სფეროში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში განხორციელდა ელექტროენერგიის მიწოდებისა და განაწილების საქმიანობის განცალკევება, რომლის წინაპირობა შემდეგი იყო:

- 2014 წელს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ასოციაციის შესახებ, რომლის განუყოფელი ნაწილია შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონის შესახებ. შეთანხმება ევროკავშირთან ძალაში შევიდა 01.07.2016.

- 2016 წლის 18 ოქტომბერს საქართველომ ხელი მოაწერა პროტოკოლს ევროპული ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის შესახებ.

- 2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ (შემდგომ - კანონი) - საქართველოს პარლამენტის დადგენილება №5646.

- „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მოწონებასთან ერთად, კანონის 122-ე მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 16 აპრილის დადგენილებით №246 დაამტკიცა ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომ - სემეკი) 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით სს „თელასი“, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სახით, გადაეცა ლიცენზია ელექტროენერგიის განაწილებაზე. აღნიშნულთან ერთად, ფორმირებული იქნა თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია, რომელსაც საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მაისის დადგენილებით N236 მიენიჭა უნივერსალური მიმწოდებლის სტატუსი ქ. თბილისის განაწილების არეალში. სს „თელასის“ მთავარი ფუნქცია ახალი ლიცენზიის შესაბამისად მდგომარეობს შემდეგში:

- სათანადო პარამეტრების მქონე ელექტროენერგიით მომხმარებელთა უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგების უზრუნველყოფა, კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების, შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით აღებული ვალდებულებების თანახმად;

- როგორც ელექტროენერგიის ტრანსპორტირების, უსაფრთხო და საიმედო მომარაგების, ისე გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაცია/მართვის, მოვლა/პატრონობის, განვითარების უზრუნველყოფა;

- ყველა სახეობის მომხმარებლებისა და მიმწოდებლებისთვის მომსახურების გაწევა. სისტემის ოპერატორი ვალდებულია მიმწოდებელს მომსახურება გაუწიოს არადისკრიმინაციულობის პრინციპის შესაბამისად და მომსახურების გაწევის დროს ყველა თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს.

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

2021 წლის 28 აპრილს სემეკ-ის მიერ სააქციო საზოგადოება „თელასის“ სახელზე გაცემული ლიცენზია ელექტროენერგიის განაწილებაზე ძალაში შევიდა 2021წ. 1 ივლისიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2021 წლის 7 ოქტომბრის N43/1 გადაწყვეტილების თანახმად, კომისიამ დაამტკიცა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის შესაბამისობის პროგრამა, რომელიც სს „თელასმა“ წარადგინა 2021 წლის 17 სექტემბერს წერილით N0917/043/21. შესაბამისობის დამტკიცებული პროგრამა სს „თელასის“ მიერ შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტია.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 ივნისის დადგენილებით №239, საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის გაშვება და დარგის ელექტროენერგიის მოცულობებით საათობრივ ვაჭრობაზე გადავადებული იქნა 2024 წლის 1 ივლისამდე.

II. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის 6 თვეში საზოგადოების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება დახასიათებული იქნას შემდეგნაირად:

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	6 თვე 2022 წ.	6 თვე 2023 წ.	ათასი ლარი
			ცვლილების %
ამონაგები	103 085	109 146	6
სხვა შემოსავლები	18 163	19 705	8
შესყიდული ელექტროენერგია	(20 117)	(16 532)	(18)
ხელფასები და მუშაკების სხვა ანაზღაურებები	(33 832)	(37 282)	10
ცვეთა და ამორტიზაცია	(8 560)	(9 344)	9
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(3 731)	(2 380)	(36)
აღდგენილი და ფორმირებული რეზერვები, ნეტო	122	(870)	(812)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(19 954)	(13 093)	(34)
საოპერაციო მოგება	35 176	49 350	40
ფინანსური შემოსავლები	78	130	68
ფინანსური ხარჯები	(5 221)	(3 848)	(26)
(ზარალი)/შემოსავალი საკურსო სხვაობის შედეგად, ნეტო	262	(105)	(140)

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

მოგება დაბეგვრამდე	30 294	45 527	50
ხარჯები მოგების გადასახადზე	-	-	-
მოგება პერიოდის განმავლობაში	30 294	45 527	50
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ შეწყვეტილი საქმიანობიდან	-	-	-
მოგება პერიოდის განმავლობაში	30 294	45 527	50
აქტუარული შემოსავალი/(ზარალი) დადგენილი გადახდების მქონე საპენსიო პროგრამის მიხედვით	617	(19)	(103)
ზეგავლენა მოგების გადასახადზე	-	-	-
სხვა ერთიანი (მოგება)/შემოსავალი წელიწადში, დაბეგვრის გამოკლებით	617	(19)	(103)
სულ, ერთობლივი შემოსავალი პერიოდის განმავლობაში	30 910	45 507	47
აქციაზე საბაზო და განზავებული მოგება	0.00027	0.00040	47

2021 წლის 1 ივლისამდე საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობა იყო მომხმარებელთა მომარაგება ელექტროენერგიით და ქსელური მომსახურების გაწევა (ელექტროენერგიის გადაცემა) ქ. თბილისში. 2021 წლის 1 ივლისიდან, ენერგოკომპანიის მიწოდების და განაწილების ფუნქციები გაიყო, შესაბამისად, სს „თელასის“ ძირითადი საქმიანობა გახდა ქსელური მომსახურება (ელექტროენერგიის გადაცემა) ქ. თბილისში. ხელმძღვანელობა ახორციელებს საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2023 წლის 6 თვის განმავლობაში ელექტროენერგიის რეალიზაციით მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 109 146 ათასი ლარი, რაც 6 061 ათასი ლარით მეტია, 2022 წლის 6 თვესთან შედარებით, ელექტროენერგიის მოცულობის, განაწილების ტარიფის და ტრანზიტის ზრდის გამო.

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

მაჩვენებლები	ათასი ლარი		
	31.12.2022	30.06.2023	ცვლილების %
აქტივები			
არასაბრუნავი აქტივები	364 485	382 154	5
საბრუნავი აქტივები	48 583	54 215	12
სულ, აქტივები	413 068	436 369	6

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	257 651	303 160	18
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტუანი კრედიტები, სესხები და თამასუქები	34 890	22 390	(36)
სასამართლო სარჩელების რეზერვები	922	760	(18)
ანაზღაურება შრომითი საქმიანობის დასრულებისას	1 649	1 741	6
სახელმწიფო სუბსიდიები	64	32	(51)
საიჯარო ვალდებულება	769	890	16
სხვა ვალდებულებები	861	1 018	18
სულ, გრძელვადიანი ვალდებულებები	39 155	26 832	(31)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
პროცენტუანი კრედიტები, სესხები და თამასუქები	24 158	17 799	(26)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	67 066	65 456	(2)
საკონტრაქტო ვალდებულებები	1 820	2 066	14
მიღებული ავანსები	13 910	14 747	6
სახელმწიფო სუბსიდიები	158	158	0
ანაზღაურება შრომითი საქმიანობის დასრულებისას	152	165	9
საგადასახადო ვალდებულებები წმინდა	7 018	3 776	(46)
საიჯარო ვალდებულება	669	730	9
სასამართლო სარჩელების რეზერვები	1 155	1 325	15
საგადასახადო რეზერვები	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	61	61	0
სხვა ვალდებულებები	95	94	(1)
ვალდებულებები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია შეწყვეტილ საქმიანობასთან	-	-	-
სულ, მოკლევადიანი ვალდებულებები	116 262	106 377	(9)
სულ, კაპიტალი და ვალდებულებები	413 068	436 369	6

საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სს „თელასის“ ერთიანი აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 436 369 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო პერიოდში აქტივების სიდიდე გაიზარდა 23 301 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

საშუალებების ზრდის ხარჯზე და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემცირების გამო. 2023 წლის 30 ივნისს არასაბრუნავი აქტივები გაიზარდა 17 669 ათასი ლარით, უმეტესად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 382 154 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივები გაიზარდა 5 632 ათასი ლარით და შეადგინა 54 215 ათასი ლარი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემცირების შედეგად.

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	30.06.2022	30.06.2023	ცვლილების %
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.03	0.12	314
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.26	0.45	73
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.31	0.51	64

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტმა 2023 წლის 6 თვის შედეგების მიხედვით შეადგინა 0.12. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა, 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, შეადგინა 0.45. ამ მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია საბრუნავი სახსრების ზრდით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0.31-დან 0.51-მდე. ეს მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის ზრდას განახორციელოს ანგარიშსწორება თავისი მიმდინარე ვალდებულებების მიხედვით. მაჩვენებლის ზრდა ასევე განპირობებულია საბრუნავი აქტივების ზრდით და მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირებით (დავალიანება ე/ე შესყიდვაზე).

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	30.06.2022	30.06.2023	ცვლილების %
გაყიდვების რენტაბელობა	38.9%	42.9%	10
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	14.5%	15.0%	4
ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)	7.7%	10.4%	35

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია გაყიდვებიდან საზოგადოების მიერ მიღებული მოგებით. მოგებამ, 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, შეადგინა 30 294 ათასი ლარი, 2023 წლის 6 თვის მოგებასთან 45 527 ათასი ლარი შედარებით.

საზოგადოების ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	30.06.2022	30.06.2023
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.53	0.69
სასესხო და საკუთარი სახსრების ფარდობა	0.90	0.44

2023 წლის 30 ივნისისთვის, საკუთარი კაპიტალის წილი ბალანსის ვალუტაში (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) გაიზარდა და შეადგინა 0.69.

საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა შემცირდა და შეადგინა 0.44 (საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე მოდის სასესხო კაპიტალის 0.44) კაპიტალის ზრდის შედეგად.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს-ის შესაბამისი ანგარიშგების მონაცემების მიხედვით.

საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები

საზოგადოების ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა 2023 წლის 6 თვის განმავლობაში შეიძლება დახასიათებული იქნას შემდეგნაირად:

საწარმოო მაჩვენებლები	2022 წ. 6 თვე	2023 წ. 6 თვე	ცვლილების %
მიღებულია (გაშვებულია) ქსელში, მლნ კვტ*სთ	1 482	1 546	4%
- ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგები, მლნ კვტ*სთ	97	99	3%
ელექტროენერგიის სასარგებლო გაშვება, მლნ კვტ*სთ	1 385	1 447	4%
დანაკარგების მაჩვენებელი %*	6.6%	5.7%	(13.6%)

- 2023 წლიდან ელექტროენერგიის დანაკარგების % გაანგარიშებულია ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგების მოცულობის პროცენტული ფარდობა ქსელში გაშვებასთან პლუს ელექტროენერგიის ტრანზიტის მოცულობა. მოცემული მაჩვენებელი, რომელიც გაანგარიშებულია 2022 წლის ფორმულის მიხედვით, ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგების პროცენტული ფარდობის სახით ქსელში გაშვების მოცულობასთან, შეადგენს 6.4%, ხოლო გადახრა 2022 წელთან შედარებით შეადგენს (0.2%).

III. საინვესტიციო საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „თელასის“ 2023-2027 წლების საინვესტიციო პროგრამის მიზნებია: ქალაქ თბილისის ელექტრული ქსელების განვითარება, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, ახალი ქვესადგურების და ქსელების მშენებლობის გზით; ტექნიკური

შესაძლებლობის შექმნა ახალი მომხმარებლების ელექტრულ ქსელებთან მისაერთებლად; არსებული მომხმარებლების და განაშენიანების პერსპექტიული მოედნების საიმედო და ხარისხიანი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა; ქალაქ თბილისის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა: ტექნიკური გადაიარაღება, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია, არსებული მოწყობილობების შეცვლა თანამედროვე მაღალეფექტური მოწყობილობებით; კაპიტალური მშენებლობის პერსპექტიული ობიექტების ელექტრულ ქსელებთან მიერთების შესაძლებლობის უზრუნველყოფა; ელექტრული ქსელების ტექნიკური მდგომარეობის ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა; ელექტრული ქსელების მოვლა-პატრონობაზე დანახარჯების შემცირება; ელექტრული ენერგიის დანაკარგების შემცირება.

ელექტრული ქსელების განვითარების პროგრამის შესრულება მომხმარებელთა ხარისხიანი და საიმედო ელექტრომომარაგების, ელექტრული ქსელების გამტარუნარიანობის გაზრდის, ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირების, ქ. თბილისის საჭიროებისთვის გასაშვები ელექტრული ენერგიის საჭირო მოცულობის უზრუნველყოფის, ქალაქის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობას მოგვცემს.

პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში 2023წ-დან 2027 წლამდე მოსალოდნელია 110-35 კვ 17, 6/10კვ 13 ც ქვესადგურის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის სამუშაოების შესრულება, 110/35კვ - 2ც და 6-10კვ 38ც ძალოვანი ტრანსფორმატორის შეცვლა, ელექტროდანადგარების გადამაბვისაგან დაცვის ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა, SCADA-ს სისტემის პროგრამულ-აპარატული კომპლექსის დანერგვა 35-110კვ ელექტრულ ქსელში, სარელეო დაცვის სელექტიურობის ამაღლება მიწაზე და ქსელში ერთფაზა შერთვის დროს 9 ქვესადგურში, 110-35კვ საჰაერო გადამცემი ხაზების რეკონსტრუქცია, სადაც საჭიროა 83,8 კმ სადენების და გვარლის შეცვლა, 6/10 კვ საკაბელო ხაზების შეცვლა სიგრძით 156 კმ, 0,4 კვ - 36 კმ, ასევე ახალი მომხმარებლების მიერთების და გაფართოების პროექტები. დაგეგმილია ქსელზე 28 440 მომხმარებლის მიერთება. საზოგადოებისთვის ძირითადი პრიორიტეტული პროექტია ასევე ქალაქ თბილისის კრწანისის რაიონში 35/10/6 კვ ქვესადგურის მშენებლობა, რომელიც დაგეგმილია 2023-2024წწ.

საწარმოო ხასიათის პროექტებთან ერთად, კომპანია ინვესტიციებს აბანდებს დამხმარე ღონისძიებებშიც.

პროგრამის ძირითადი ამოცანაა საინვესტიციო პროექტების სრული მოცულობით რეალიზაცია, ხარისხიანად და ვადების დაცვით.

2023-2027 წლებში ინვესტიციების დაგეგმილი საერთო მოცულობა შეადგენს:

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

№	სპრ-ს განყოფილების დასახელება	2023 წ.	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	2027 წ.	მოცულობა 2023-2027 წწ.
1	დაფინანსება, ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით	52 977	67 832	66 311	57 072	56 167	300 360
2	ათვისება, ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე	55 179	55 583	48 316	48 410	47 645	255 132
3	ძს შეყვანა, ათასი ლარი დღგ-ს გარეშე	61 318	55 790	46 651	47 092	53 456	264 307

2023 წლის 1-ელ ნახევარში საზოგადოებამ განახორციელა ინვესტიციების დაბანდება კაპიტალური დაბანდების ფორმით შემდეგი მოცულობით:

№	სპრ-ს განყოფილების დასახელება	მოცულობა
1	დაფინანსება, ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით	25 532
2	ათვისება, ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე	23 374
3	ძს შეყვანა, ათასი ლარი დღგ-ს გარეშე	22 801

ინვესტიციები განხორციელდა შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- 2023 წელს ინვესტიციების ძირითადი მიმართულებაა გამანაწილებელ ქსელზე ახალი აბონენტების ტექნოლოგიური მიერთება. 1-ელ ნახევარ წელიწადში დამუშავებული იქნა 3 327 განაცხადი საერთო სიმძლავრით 84,5 მვტ;
- ქსელური მეურნეობის საიმედოობის და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება ინვესტიციები ქვესადგურების, საკაბელო და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაში;
 - გამანაწილებელ ქსელში ხორციელდება გეგმიური კაპიტალური რემონტები;
 - მიმდინარეობს აღრიცხვის მრავალფუნქციონალური ელექტრონული სისტემის მოწყობა, მათ შორის, ხორციელდება „ჭკვიანი მრიცხველების“ შეცვლა და დაყენება (სტანდარტული 3-ფაზიანი მრიცხველების ნაცვლად);
- მიმდინარეობს 0,4/6/10 კვ საკაბელო ხაზების რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის სამუშაოები;
- რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის პროცესშია ქს „მახათა“, „ლილო 3“, „სანაპირო“;
- დასრულებულია ელექტრომოწყობილობების გადამაბვისაგან დაცვის, მიწაზე და ქსელში ერთფაზა შერთვის დროს სარელეო დაცვის სელექტიურობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავების და დანერგვის სამუშაოები ქვესადგურში საბურთალო 1;

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

- დასრულების ეტაპზეა საპროექტო-სამიეზო სამუშაოები პროექტზე „SCADA სისტემის პროგრამულ-აპარატული კომპლექსის დანერგვა 35-110 კვ ელექტრულ ქსელში“.

IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა.

სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობა 2021 წლის 01 ივლისამდე იყო ქ. თბილისში მომხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგება და ქსელური მომსახურების (ელექტროენერგიის გადაცემა) გაწევა. 2021 წლის 01 ივლისიდან ენერგოკომპანიის მიწოდების და განაწილების ფუნქციები გაიყო, შესაბამისად, სს „თელასის“ საქმიანობის ძირითად სახეობად გახდა ქსელური მომსახურების (ელექტროენერგიის გადაცემა) გაწევა ქ. თბილისში. ძირითად რისკებად, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი:

ძირითადი რისკები:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიკუთვნებული იქნას ტარიფების დაუსაბუთებელი სახელმწიფო რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ისეთი ტარიფების დამტკიცების შესაძლებლობასთან, რომელიც არ ფარავს საზოგადოების დანახარჯებს. კომპანიაში ხორციელდება გეგმიური მუშაობა სემეკ-თან ასეთი რისკის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად.

2020 წლის 16 აპრილს, საქართველოს მთავრობამ დადგენილებით №246 დაამტკიცა ელექტროენერგიის ბაზრის კონცეფცია (ბაზრის კონცეფცია): 2021 წლის 1 ივლისიდან, განხორციელდა ენერგოკომპანიის მიწოდების და განაწილების ფუნქციების განცალკევება, რის შედეგადაც კომპანიაზე აღარ ახდენს ზემოქმედებას ელექტროენერგიის შესყიდვაზე ფასის არახელსაყრელი ცვალებადობა, ვინაიდან კომპანია დაკავებულია მხოლოდ განაწილების საქმიანობით, შესაბამისი მარჟის გამოყენებით. 2021 წლის 1 ივლისიდან სემეკ-ის 2021 წლის 29 ივნისის დადგენილებით N27 სს „თელასისთვის“ დადგენილი იქნა განაწილების ტარიფები, რომლებიც მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრამდე.

ქვეყნისა და რეგიონის რისკები. ქვეყნის და რეგიონალურ რისკებს განეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების ცვლილებასთან. ცვლილება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში.

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარება, რომელიც ზემოქმედებას ახდენს სს „თელასის“ ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაზე და ოპერაციების რენტაბელობაზე, ძირითადად, ხელსაყრელია.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია შესაძლო სამხედრო კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის შემოღებასთან და გაფიცვებთან, რეგიონში არ არსებობს.

ფინანსური რისკები. საზოგადოება თავისი საქმიანობის პროცესში ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსების ზეგავლენის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკებს შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება ქართული ლარისგან. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიაზე სავალუტო რისკების ზემოქმედების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლართან მიმართებით საანგარიშო პერიოდში:

თვე	გეგმა	ფაქტი
იანვარი	3.83	2.64
თებერვალი	3.83	2.63
მარტი	3.87	2.56
აპრილი	3.91	2.50
მაისი	3.91	2.59
ივნისი	3.94	2.62

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. საოპერაციო ნაღდი ფულის შემოღინება და მოძრაობა, არსებითად, დამოუკიდებელია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისგან. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკს გრძელვადიანი აქტივების საბაზრო ღირებულების რყევების შედეგად.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკი. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ლიკვიდურობაზე, არის სს „თელასის“ შეუძლებლობა შეასრულოს თავისი ვალდებულებები გარე კრედიტორების, აქციონერების

და სხვა კონტრაგენტების წინაშე. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

მდგრადი განვითარების სფეროში მიზნების მიუღწევლობის რისკი:

რისკი, რომელიც ზეგავლენას ახდენს გარემოზე. ძირითადი ფაქტორია მიზნების მიუღწევლობის რისკი მდგრადი განვითარების სფეროში „ბრძოლა კლიმატის ცვლილებასთან“, რაც დაკავშირებულია ნარჩენების არასწორ მართვასთან.

რისკი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სოციალურ სფეროზე. მდგრადი განვითარების, ღირსეული სამუშაოსა და ეკონომიკური ზრდის სფეროში მიზნების მიუღწევლობა წარმოადგენს რისკის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებებზე. თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუარესება, რომელიც იზომება მაჩვენებლით „საშუალოთვიური შაფ საშუალო სიითი რიცხოვნობის 1 მუშაკზე“, თანამშრომელთა უცვლელი რაოდენობისა და ტრავმატიზმის მაჩვენებლის ზრდა წარმოადგენს რისკის შედეგებს და შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სს „თელასის“ საოპერაციო საქმიანობაზე.

რისკი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. მიზნების მიუღწევლობის რისკმა ინდუსტრიალიზაციის, ინოვაციის და ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების სფეროში შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სს „თელასის“ საქმიანობაზე, აქედან გამომდინარე გაუარესდება აბონენტების მომსახურების ხარისხი, შესაძლებელი მარეგულირებლისგან შენიშვნის და საჯარიმო სანქციების მიღება ქსელზე დაგვიანებით მიერთებისთვის.

საზოგადოების მიერ განხორციელებული მოქმედებები და ზომები, რისკების და მათი ფაქტორების შესამცირებლად, გულისხმობს ღონისძიებების ჩატარებას რისკებისა და მდგრადი განვითარების მიზნებისთვის, სახელდობრ:

- გარე საერთაშორისო აუდიტორების მიერ ISO სერტიფიკატის ყოველწლიური განახლება;
- გრეიდების გადასინჯვა;
- იმდ-ს გადასინჯვა;
- ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით გაზრდილი დამატებითი შესვენება;
- სადეკრეტო შვებულების სრული გადახდა;
- ქალი-თანამშრომლებისთვის 8 მარტის საჩუქრები;
- დის-ების საკმარისი რაოდენობის შეძენა;
- ელექტროქსელში მომუშავე ბრიგადების ყოველდღიური შემოწმება;

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

- პერსონალის საკვალიფიკაციო გამოცდების დროული და ხარისხიანი ჩატარება;
- ელექტროქსელში მომუშავე თანამშრომელთა დროული სამედიცინო შემოწმების კონტროლი;
- ახალი მომხმარებლების მიერთება სს „თელასის“ გამანაწილებელ ქსელზე მოთხოვნილი სიმძლავრეების მიხედვით, სემეკ-ის 2021 წლის 28 ივნისის N19 დადგენილების შესაბამისად;
- ახალი ქსელის მშენებლობა და განვითარება ახალი მომხმარებლების მისაერთებლად გამანაწილებელ ქსელზე.

კონსტრუქციული ურთიერთობები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკი) და ქ. თბილისის ადმინისტრაციასთან, განვითარებული ელექტროქსელური ინფრასტრუქტურის არსებობა, ელექტროენერგიის სამომხმარებლო ბაზრის კარგი ცოდნა, საზოგადოების დადებითი საკრედიტო ისტორია, მაღალკვალიფიციური პერსონალის არსებობა, დანახარჯების მართვის გამოცდილება, საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების გამოცდილება საზოგადოებას საშუალებას აძლევს თავისი საქმიანობა განახორციელოს ენერგეტიკული კომპანიების მიმართ წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

V. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო რისკების, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

საკრედიტო რისკი.

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს მოთხოვნილი თანხების დადგენილ ვადაში სრულად გადახდას. ფინანსური აქტივები, რომელთა დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. კომპანია წარმოადგენს მონოპოლისტს ქ. თბილისში და მისი საქმიანობის რეგულირება ხორციელდება განსაზღვრული დებულებებით, ამიტომ საიმედო მომხმარებლების შერჩევასთან დაკავშირებით კომპანიის შესაძლებლობები შეზღუდულია. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, რესტრუქტურიზებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

დაფარვის ტემპები დამოკიდებულია ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ არსებობს დებიტორული დავალიანების ღირებულების შემცირებისთვის შექმნილ რეზერვის თანხაზე მეტი თანხის დანაკარგის არსებითი რისკი.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაცია, რადგან მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი რაოდენობის საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლებით.

ზედმეტი ნაღდი ფული თავსდება ფინანსურ დაწესებულებებში, კონტრაგენტი ბანკების შერჩევის მოქმედი კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სს-ს 2017 წლის 21 დეკემბრის (სს ოქმი N191) და 2022 წლის 26 დეკემბრის (სს-ს ოქმი N191) გადაწყვეტილებებით რომელთაც თანხების განთავსების მომენტისთვის გააჩნიათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

საბაზრო რისკი.

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად უკავშირდება კომპანიისთვის დადგენილ ტარიფებს (განაწილების ტარიფი). მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ზოგიერთი ტარიფის დადგენაზე, ტარიფების დონეების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებები მიიღება მისი მონაწილეობის გარეშე.

ამასთან, კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო და სპეციფიკური რყევების ზემოქმედებას.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენით ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შესაძლო ცვლილების შედეგად. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებებს, რაც ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში გამოსახული, შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	2022 (ათასი ლარი)	30.06.2023 (ათასი ლარი)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	116	122
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(1 044)	(5 221)

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

საიჯარო ვალდებულებები	(530)	(1 122)
ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1 458)	(6 221)

სხვა ვალუტაში გამოსახული თანხები და სავალუტო კურსების შესაბამისი ცვლილებები უმნიშვნელოა რისკის ანალიზის მიზნებისთვის.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნების და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფის მეშვეობით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს საზოგადოებას აძლევს საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

VI. შიდა კონტროლის და რისკების სისტემის მიმოხილვა, ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებით

შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან, როგორცაა:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებები და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოებას უფლება აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი თანხებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები სათანადოდ აღწერილი, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. მონაცემების უტყუარობის შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).


VII. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სს „თელასის“ კაპიტალი შეადგენს 112 429 418 ლარს და დაყოფილია 112 429 418 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი თითოეული.

სააქციო კაპიტალის საერთო სტრუქტურა, 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, შემდეგნაირია:

ფასიანი ქაღალდების კლასი	ბენეფიციარი მესაკუთრის დასახელება/სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და საკუთრების მფლობელობის სახეობა	საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასების პროცენტული შემადგენლობა
ჩვეულებრივი ი აქცია	Silk Road Holdings B.V. (ნიდერლანდი)	84 443 957 აქცია საერთო თანხით 84 443 957.00 ლარი	75.108
ჩვეულებრივი ი აქცია	შპს „ბეტს ენერჯი გრუპ“	27 577 837 აქცია საერთო თანხით 27 577 837.00 ლარი	24.529
ჩვეულებრივი აქცია	დანარჩენი აქციონერები	407 624 აქცია საერთო თანხით 407 624.00 ლარი	0.363
სულ		112 429 418 აქცია	100

სააქციო კაპიტალის სტრუქტურა, 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით



VIII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში აქციონერთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების აქციონერებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აქციონერებთან დაკავშირებით საინფორმაციო პოლიტიკა ხორციელდება წარსადგენი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის და უტყუარობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერებს უზრუნველყოფს წესდების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაშვებით. აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე საზოგადოება ვალდებულია წარუდგინოს მათ წესდების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონერების კუთვნილი აქციების თავისუფლად და სწრაფად გასხვისების შესაძლებლობას. საზოგადოების აქციებზე აქციონერის საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისგან დაცვა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით.

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით, აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით და საზოგადოების დივიდენდების პოლიტიკით.

გადაწყვეტილებას დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) შესახებ, მათ შორის გადაწყვეტილებას დივიდენდების ოდენობასა და მისი გადახდის ფორმის შესახებ ყველა კატეგორიის (ტიპის) მიხედვით, იღებს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა იმ ოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

IX. კორპორაციული მართვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სს „თელასის“ საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2023 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შეჯამებისას, აღსანიშნავია, რომ ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 10 სხდომა, რომლებზეც მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებმაც არსებითი გავლენა ჰქონდა საზოგადოების საქმიანობაზე.

საზოგადოების წესდების და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 6 ადამიანით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა და საწარმომ, რომელიც ფლობს მის აქციებს/წილებს, ყველა ზომას უნდა მიმართონ რათა, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მმართველი საბჭოს წევრების, სულ მცირე, ნახევარი მაინც იყოს დამოუკიდებელი.

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით (31.03.2023წ. ოქმი), საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იქნენ:

ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დაბადების წელი: 1969

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 28.03.2013

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

გელენიძე ზურაბ გივის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

დაბადების წელი: 1975

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 30.06.2020

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

აბრამკოვი ალექსანდრე ევგენის ძე – სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

დაბადების წელი: 1977

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 08.02.2017

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

სამარინი სერგეი ვალენტინის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1973

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 14.05.2018

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

მახოვი იური ვასილის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

დაბადების წელი: 1974

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 30.06.2020

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

ღურჯაია კობა აბესალომის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

დაბადების წელი: 1977

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 14.05.2021

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

X. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო არ არის გათვალისწინებული.

სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით (ოქმი №94, 28.03.2013 წ.) 2013 წლის 1 აპრილიდან სს „თელასის“ გენერალურ დირექტორად არჩეულია კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე.

კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე - გენერალური დირექტორი

დაბადების წელი: 1972

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამუშაო ადგილი: სს „თელასი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორის თანამდებობაზე პირველად დაინიშნა: 01.04.2013

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

XI. საზოგადოების რისკების მართვის და კონტროლის სისტემა

საზოგადოებაში მოქმედებს რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა (რმდამკ), რომელიც მოიცავს არსებით ბიზნეს-პროცესებს, საქმიანობის მიმართულებებს და მართვის დონეებს. პრინციპები და მიდგომები, რომლებითაც ხელმძღვანელობს საზოგადოება რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სფეროში, შემდეგია: მთლიანობა, ფუნქციონირების უწყვეტობა, ადაპტიურობა, მეთოდოლოგიური ბაზის ერთიანობა, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებების გამიჯვნა, პრიორიტიზაცია და გონივრული საკმარისობა, მუდმივი განვითარება და სრულყოფა, კორუფციასთან და თაღლითობასთან ბრძოლა, კომპლაენსის უზრუნველყოფა.

რმდამკს აგებულია რისკების მართვის და შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების რეკომენდაციების შესაბამისად, მრავალდონიანი იერარქიული სისტემის სახით მართვის სხვადასხვა დონეზე: სამეთვალყურეო საბჭოს, მართვის აღმასრულებელი ორგანოების, რისკების მფლობელების, მუშაკების დონეზე. სს „თელასის“ რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც მოქმედებდა 2023 წლის განმავლობაში, წარმოადგენდა საორგანიზაციო ღონისძიებების, მეთოდოლოგიების, პროცედურების, კორპორაციული კულტურის ნორმების და მოქმედებების ერთიანობას, რომლებსაც საზოგადოება ახორციელებდა ღირებულების ზრდას, მომგებიანობას და რისკებს შორის ოპტიმალური ბალანსის უზრუნველსაყოფად და საზოგადოების მიზნების მისაღწევად გარანტიების შექმნისთვის (მათ შორის, ფინანსური მდგრადობის, აქტივების შენარჩუნების,

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

სამეურნეო საქმიანობის ეფექტური განხორციელების, კანონმდებლობის და შიდა ნორმატიული დოკუმენტების დაცვის, უტყუარი ანგარიშგების მომზადების უზრუნველყოფის მიზნით).

რმდამკ-ს ფარგლებში საქმიანობის კოორდინაციის ფუნქციის რეალიზებას ახორციელებს პირი, რომელიც პასუხისმგებელია რისკების მართვისა და შიდა კონტროლის საქმიანობის კოორდინაციაზე და დანიშნულია საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ.

რისკების მართვის და შიდა კონტროლის სფეროში საზოგადოების მიერ რმდამკ-ს ფარგლებში რეალიზებული ამოცანებია:

- საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელი, კონტროლის ორგანოების, აქციონერების და ინვესტორების გონივრული რწმენის უზრუნველყოფა საქმიანობის სტრატეგიული და საოპერაციო მიზნების მიღწევაში;
- ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის და რესურსების ეკონომიური გამოყენების უზრუნველყოფა;
- აქტივების დაცულობის უზრუნველყოფა;
- საკანონმდებლო და შიდა ნორმატიული დოკუმენტების დაცვის კონტროლი;
- ანგარიშგების სისრულის და უტყუარობის უზრუნველყოფა.

საზოგადოებაში რმდამკ სრულყოფის მიზნით შემუშავებული და დანერგილია შემდეგი ღონისძიებები:

- ე/ე ალტერნატიულ მიმწოდებლების ძიება და პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმება;
- სემეკ-თან რეგულარული მუშაობის განხორციელება;
- რეგულარული მონიტორინგის განხორციელება თითოეული კონტრაგენტი ბანკის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესაძლებლობაზე და ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობის არსებითი ზრდის შემთხვევაში, ზომების მიღება ვალდებულებების ვადამდელი მოთხოვნისთვის და ასეთი ვალდებულებების ოდენობის გაზრდის დაუშვებლობა;
- კონტრაგენტ ბანკებთან ოპერაციებზე დამტკიცებული ლიმიტების უზრუნველყოფა (არსებობის შემთხვევაში) და განთავსებული ფულადი სახსრების დივერსიფიკაცია კონტრაგენტ ბანკებს შორის დივერსიფიკაცია დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში.

რისკების მართვა და შიდა კონტროლი წარმოადგენს უწყვეტ ციკლურ პროცესს, რომლის რეალიზაცია საზოგადოებაში ხორციელდება. კალენდარული წლის ჰორიზონტზე რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის პროცესების რეალიზაცია ხდება რისკების მართვის და შიდა კონტროლის ციკლის ფარგლებში.

რისკების მართვის და შიდა კონტროლის ციკლი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ეტაპების თანმიმდევრობას, რომელთა ფარგლებში პერიოდულობის საფუძველზე ხდება შემდეგი პროცესების რეალიზაცია:

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

- რმდაშკ-ს მიზნობრივი ორიენტირების განსაზღვრება;
- რისკების გამოვლენა კონტროლს დაქვემდებარებული და არაკონტროლირებადი ფაქტორების გათვალისწინებით;
- რისკების და რისკ-ფაქტორების შეფასებები და პრიორიტიზაცია;
- რისკებზე რეაგირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია, რაც მოიცავს:
 - კონტროლის პროცედურებს;
 - რისკების და რისკ-ფაქტორების მონიტორინგს და კონტროლს;
 - პერიოდული და წლიური ანგარიშგების ფორმირებას და რისკების მართვასთან და შიდა კონტროლთან დაკავშირებული ინფორმაციის გახსნას;
 - რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასებას.

საზოგადოების რმდაშკ-ს ორგანიზების ფარგლებში დამტკიცდა შემდეგი დოკუმენტები, რომლებიც ახორციელებს საზოგადოების რისკების გამოვლენის, შეფასების და მართვის პრინციპებისა და მიდგომების რეგლამენტირებას:

1. სააქციო საზოგადოება „თელასის“ რისკების მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკა (სს-ს ოქმი №288, 26.12.2022 წ.);
2. პროცესის რეგლამენტი „რისკების მართვა და შიდა კონტროლი“ პრ-560-3 (გდ ბრძანება №707, 29.11.2022 წ.);
3. მეთოდика „რისკების მართვის ღონისძიებების და მათი შესრულების შესახებ ანგარიშგების ფორმირება“ მთ-538-2 (გდ ბრძანება №707, 29.11.2022 წ.);
4. მეთოდика „საპროექტო რისკების მართვა“ მთ-539-2 (გდ ბრძანება №707, 29.11.2022 წ.);
5. მეთოდика „რისკების და რისკების ფაქტორების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება“ მთ-540-2 (გდ ბრძანება №707, 29.11.2022 წ.);
6. მეთოდика „საკონტროლო პროცედურების შემუშავება და ოპტიმალური შიდა კონტროლის აგება“ მთ-541-2 (გდ ბრძანება №707, 29.11.2022 წ.);
7. მეთოდика „რისკების, რისკების ფაქტორების დასაშვები დონეების განსაზღვრა და მათი პრიორიტიზაცია“ მთ-542-2 (გდ ბრძანება №707, 29.11.2022 წ.);
8. პროცესის რეგლამენტი „სს „თელასის“ ფინანსური რისკების მართვა“ პრ 517-3 (სს-ს ოქმი №285, 15.11.2022 წ.);
9. სს „თელასის“ ფინანსური რისკების მართვის მეთოდика (სს-ს ოქმი №285, 15.11.2022 წ.).

- რისკების მართვა ხორციელდებოდა რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის კომპანიაში შემუშავებული ძირითადი დოკუმენტების შესაბამისად - საზოგადოების რისკების მართვის მიზნებისთვის მიზნობრივი ორიენტირებით.

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

დამტკიცებული იქნა სს „თელასის“ ტიპური რისკების ჩამონათვალი (სს „თელასის“ გენერალური დირექტორის ბრძანება №296, 2020 წლის 15 აპრილი) და 2023 წლისთვის რისკ-აპეტიტი (სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 17.03.2022წ. გადაწყვეტილება, სს-ს ოქმი №169). ასევე სს „თელასის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის ბრძანებით №308 დამტკიცდა რისკების ზეგავლენის შეფასების დამატებითი მაჩვენებლები - მიზნები მდგრადი განვითარების სფეროში.

საზოგადოების რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა ასევე მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტს, რომლის ამოცანებია რისკების მართვის, შიდა კონტროლის სისტემის და კორპორაციული მართვის საიმედოობის და ეფექტური ფუნქციონირების კონტროლი, სამეთვალყურეო საბჭოსათვის რეკომენდაციების შემუშავება საზოგადოების აუდიტის და ანგარიშგების სფეროში; გარე აუდიტის ფუნქციის დამოუკიდებლობის და ობიექტურობის უზრუნველყოფა, გარე აუდიტის ჩატარებაზე ზედამხედველობა და აუდიტორული შემოწმების შესრულების და აუდიტორთა დასკვნების შესრულების ხარისხის შეფასება; კონტროლი საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების სისრულის, სიზუსტისა და უტყუარობის უზრუნველყოფაზე; საზოგადოების მუშაკების და მესამე პირების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების პოტენციური შემთხვევების შესახებ (ინსაიდერული ან კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერი გამოყენების ჩათვლით), ასევე სხვა დარღვევების შესახებ შეტყობინების სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის კონტროლი; კონტროლი საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ზომებზე მუშაკების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების ან სხვა დარღვევების პოტენციური შემთხვევების ინფორმირების ფაქტებთან დაკავშირებით.

XII. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

პერსონალის მართვა

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება, მათ შორის, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლურობის გაზრდა, მუშაკების შრომის დაცვის საკითხები.

საკადრო პოლიტიკა

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთი მდგენელების მეშვეობით, როგორებიცაა:

- კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში


- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმების დაცვა და კოლექტიური ხელშეკრულების დებულებების შესრულება.

სს „თელასის“ მუშაკების რიცხოვნობა 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 1889 ადამიანს. 2023 წლის პირველ ნახევარში საზოგადოებაში გათავისუფლებულ იქნა 37 თანამშრომელი და სამუშაოზე მიღებულ იქნა 39 ადამიანი.

მუშაკების სტრუქტურა კატეგორიების მიხედვით

(ადამიანი)


წელი	ხელმძღვანელები	სპეციალისტები	მოსამსახურეები	მუშები	სულ
2022 წელი	151	518	23	1195	1887
2023 წლის 1-ელი ნახევარი	150	544	23	1172	1889



პერსონალის სტრუქტურა ასაკის მიხედვით


სს „თელასის“ მუშაკების ასაკობრივი დონე, 30.06.2023წ. მდგომარეობით, შეადგენს: 25 წლამდე (ჩათვლით) - 21 ადამიანი, 26-დან 30 წლამდე – 65 ადამიანი, 31-დან 40 წლამდე – 249 ადამიანი, 41-დან 50 წლამდე – 391 ადამიანი, 51-დან 55 წლამდე - 332 და 55 წელს ზემოთ – 831 ადამიანი. 30.06.2023 წ. მდგომარეობით, მუშაკების საშუალო ასაკი შეადგენს 52,88 წელს.

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში



მუშაკების ხარისხობრივი შემადგენლობა

სს „თელასის“ მუშაკების ხარისხობრივი შემადგენლობა, 30.06.2023წ. მდგომარეობით, შემდეგია: მუშაკები უმაღლესი განათლებით - 1313 ად., საშუალო-სპეციალური განათლებით - 265 ად. და საშუალო განათლებით - 311 ად.



სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოების მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევების განვითარებაზე კონკრეტული საწარმოო სიტუაციების გადასაჭრელად და პროფესიულად მნიშვნელოვან სიტუაციებში ქცევის გამოცდილების გამომუშავებაზე. მოცემული პროგრამის ძირითადი მიზანია თანამშრომლების მომზადება უფრო რთული საწარმოო ფუნქციების (მოვალეობების)

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

შესასრულებლად, ახალი თანამდებობების დასაკავებლად, მუშაკის მიმართ მოთხოვნებსა და რეალური სპეციალისტის ან მენეჯერის თვისებებს შორის განსხვავებების დასაძლევად (პროფესიული განვითარება).

2023 წლის 1-ელ ნახევარში სს „თელასში“ შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების სასწავლო ცენტრში სწავლება გაიარა 788 თანამშრომელმა.

საწარმოო პერსონალი სრულად დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. პერსონალის სწავლება ტარდება საქართველოს, რუსეთის ფედერაციის სასწავლო ცენტრებში და საკუთარ სასწავლო ცენტრში-კაბინეტში.

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა ორიენტირებულია განვითარებაზე XXI საუკუნის უახლესი ტრენდების შესაბამისად, მათ შორის: კორპორაციული პიროვნებათაშორისი ურთიერთმოქმედების პროგრამების განვითარება; ონლაინ კურსების რაოდენობის ზრდა; სამუშაო ადგილებზე ხელოვნური ინტელექტის ექსპანსიის გაზრდა; სამუშაო ძალის შემადგენლობის გაუმჯობესება; აქცენტი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე და ა.შ.

სს „თელასის“ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, საკადრო პოლიტიკა აგებულია შემდეგ პრინციპებზე:

1. პერსონალის მართვის სისტემის ურთიერთკავშირი საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შედეგებთან.
2. საკადრო სტრატეგიის და პოლიტიკის მოქნილობა.
3. ნებისმიერი დონის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა თითოეული მუშაკის შრომითი პოტენციალის განვითარებაზე.
4. მუშაკების ანაზღაურება მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე.
5. მუშაკებისათვის ინდივიდუალური თვისებების რეალიზაციისათვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა.
6. პერსონალისათვის საზოგადოების საკადრო სტრატეგიის გახსნილობა და ხელმისაწვდომობა.
7. შესაბამისობის დაცვა მუშაკების კარიერულ ზრდასა და მათი პროფესიული დონის ამაღლებას შორის.
8. ფასეულობების კორპორაციული სისტემის და წარმოების კულტურის უზრუნველყოფა და განვითარება.

სოციალური პარტნიორობა

სოციალური პარტნიორობა დამსაქმებელსა და სს „თელასის“ მუშაკებს შორის 2023 წლის 1-ელ ნახევარში ხორციელდებოდა საქართველოს ადგილობრივი და კომუნალური მეურნეობის მომსახურების დარგის მუშაკების პროფკავშირსა და სს

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

„თელასის“ ადმინისტრაციას შორის დადებული კოლექტიური შეთანხმების ფორმატში. კოლექტიური შეთანხმება მიზნად ისახავს საზოგადოების მუშაკების სოციალური და ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას, მუშაკების ცხოვრების საკმარისი დონის შენარჩუნებას და საზოგადოების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფას.

10.01.2017 დამტკიცდა „დებულება სს „თელასის“ თანამშრომელთა მატერიალური დახმარების ფონდის შესახებ“, რომელიც შეიქმნა საზოგადოების თანამშრომელთათვის დამატებითი მატერიალური დახმარების გასაწევად, მუშაკის ცხოვრებაში გაუთვალისწინებელი გარემოებების, კრიტიკული მოვლენების წარმოქმნის შემთხვევაში. 2023 წლის 1-ელი ნახევრის განმავლობაში მატერიალური დახმარება გაეწია საზოგადოების 21 თანამშრომელს 49 794 ლარის ოდენობით.

XIII. გარემოს დაცვა

სს „თელასში“ დანერგილი ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობის და უწყვეტი განვითარების დამოწმების მიზნით, 2023 წლის 15 მაისიდან 2023 წლის 20 მაისამდე საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე აუდიტორულმა ორგანიზაციამ „ინტერტეკი“ ჩაატარა ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკაციის გეგმიური ყოველწლიური გარე აუდიტი, საერთაშორისო სტანდარტის ISO 14001:2015 მოთხოვნების შესაბამისად. აუდიტორული დასკვნის საფუძველზე სს „თელასმა“ წარმატებით დაასრულა საზედამხედველო შემოწმება. აღნიშნულთან დაკავშირებით დადგენილი იქნა, რომ სს „თელასი“ სრულად აკმაყოფილებს გარე საერთაშორისო სტანდარტის ISO 14001:2015 მოთხოვნებს.

შემოწმება ჩატარდა საზოგადოების ცენტრალურ ოფისში, ასევე სხვა პუნქტებში, სადაც ხორციელდება საოპერაციო საქმიანობა, კერძოდ: სატრანსფორმატორო საამქროში, ქიმიურ ლაბორატორიაში, ცენტრალურ საწყობში, ავტოსადგომზე, მაღალი ძაბვის ქვესადგურებში „ნუცუბიძე“, „ბაგები“, „ნავთლული-2“ და „აეროპორტი“, ასევე ბიზნეს-ცენტრში „ვარკეთილი“ და საექსპლუატაციო რაიონებში „დიდუბე“, „სამგორი“ და „ისანი“.

სს „თელასი“ ორიენტირებულია თავისი ეკოლოგიური რეზულტატიურობის მუდმივ ამაღლებაზე, ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დანერგვის, შენარჩუნების და გაუმჯობესების გზით, იმისათვის, რომ გარემოზე სამეურნეო საქმიანობის ნეგატიური ზემოქმედება დაყვანილი იქნას ტექნიკურად შესაძლებელ მინიმალურ დონემდე, პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, სამეურნეო საქმიანობის წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის საშუალებით, საკანონმდებლო და სხვა ბუნებისდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.

სს „თელასის“ 2023 წლის 1-ელი ნახევრის ანგარიში

2023 წელს სს „თელასი“ სისტემატურად კონტაქტირებდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, რომლებიც გარემოს დაცვის სფეროში ახორციელებენ სახელმწიფო მართვას ეკოლოგიური ეფექტურობის ამალების საკითხებთან დაკავშირებით.

XIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის დაცვის შესახებ

სს „თელასის“ კორპორაციული მართვის კოდექსი დამტკიცებული იყო სამეთვალყურეო საბჭოს 26.06.2013 გადაწყვეტილებით (სს-ს 26.06.2013 ოქმი N100).

წინამდებარე კოდექსის მიზნებს წარმოადგენს სს „თელასის“ კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, საზოგადოების მართვის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და სათანადო კორპორაციული მართვის სტანდარტების შესასრულებლად საზოგადოების უცვლელი მზადყოფნის დადასტურება.

სს „თელასის“ კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად, საზოგადოების მართვა ხორციელდება პასუხისმგებლობის და ანგარიშგების სათანადო დონის დაცვით, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი ორგანოები ეფექტურად მუშაობენ საზოგადოების და მისი აქციონერების ინტერესებში და ქმნიან პირობებს სააქციო ღირებულების მდგრადი ზრდისათვის, უზრუნველყოფენ ინფორმაციის სათანადო გახსნას, გამჭვირვალობას, ასევე ეფექტურად მუშაობს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემები.

სს „თელასის“ კორპორაციული მართვის კოდექსი განთავსებულია საზოგადოების ოფიციალურ საიტზე (www.telasi.ge).

XV. დამატებითი ინფორმაცია

სს „თელასის“ იურიდიული მისამართი:

სს „თელასი“, 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

სს „თელასის“ საფოსტო მისამართი:

სს „თელასი“, 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

E-mail: telasi@telasi.ge

მისამართი ინტერნეტის ქსელში:

<http://www.telasi.ge>

ს/კ: 202052580

ა/ანგარიში: სს „ბაზის ბანკი“ CBASGE22,

ა/ა GE44BS0000000033836851

საკონტაქტო პირი:

მილაშვილი მაგდალინა შოთას ასული

გენერალური დირექტორის თანაშემწე

E-mail: lina.milashvili@telasi.ge

ტელეფონი: +995 32 277-99-99

საზოგადოების რეესტრის მწარმოებელი - სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ლიცენზია #70-0006 გაცემულია 2000 წლის 26 იანვარს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ). ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება ხორციელდებოდა 2014 წლის 1 აპრილის № cp-394/515 ხელშეკრულების თანახმად.

მისამართი: საქართველო, 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74ა (მოსაშვილის №11)

ტელ.: (99532) 222-53-51, 225-15-60

ფაქსი: (99532) 225-15-60

დარიცხული დივიდენდების გადახდის და ინფორმაციის წვდომის მიღების საკითხებთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ:

მისამართი: 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

საკონტაქტო ტელეფონები: +995322779999 (1 7768)

საზოგადოების აუდიტორი - EY LLC.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის №96 დადგენილების თანახმად კომპანიას მიეცა აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლება. საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად 2022 წლის 31 მარტს (აწსკ ოქმი 31.03.2022წ.) სს „თელასის“ აუდიტორად დამტკიცებული იქნა EY LLC.

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0105, კოტე აფხაზის ქ. №44

ტელ.: (99532) 215 88 11

ფაქსი: (99532) 215 88 22

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება № 78-04 2016 წლის 5 აგვისტოს წესით და შედგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

საწარმოს სრული დასახელება	სააქციო საზოგადოება "თელასი"
საწარმოს მოკლე დასახელება	სს "თელასი"
საიდენტიფიკაციო კოდი	202052580
ადგილმდებარეობა	საქართველო ქ. თბილისი
საფოსტო მისამართი	ვაჟის ქ №3
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	2/5-86
რეგისტრაციის თარიღი	21-05-98
საკონტაქტო ტელეფონები	(995 32) 227-99-99
საკონტაქტო პირი	მაია დავიძოვა
ფაქსი	(995 32) 277-99-81
ელ. ფოსტა	maia.davidova@telasi.ge
ვებგვერდი	www.telasi.ge
დირექტორი	სერგეი კობცევი
საქმიანობის სფერო	ელ. ენერგიის განაწილება

ბელმძღვანელის ხელმოწერა



მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 30 ივნისის პერიოდების

	შენიშვნა	6 თვე 2023	6 თვე 2022
		ათასი ლარი	ათასი ლარი
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1	109,146	103,085
სხვა შემოსავალი	2	19,705	18,163
შესყიდული ელექტროენერგია	3	(16,532)	(20,117)
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის	4	(37,282)	(33,832)
ცვეთა და ამორტიზაცია		(9,344)	(8,560)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	5	(2,380)	(3,731)
შექმნილი და ამორტუნებული რეზერვები, წმინდა		(870)	122
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(13,093)	(19,954)
საოპერაციო მოგება		49,350	35,176
ფინანსური შემოსავალი	7	130	78
ფინანსური ხარჯი	7	(3,848)	(5,221)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/შემოსავალი, წმინდა		(105)	261
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		45,527	30,294
ხარჯები მოგების გადასახადზე		-	-
წლის მოგება		45,527	30,294
სხვა სრული შემოსავლები, რომლებიც არ უნდა იქნას კლასიფიცირებული მოგებასა და ზარალში მომდევნო პერიოდებში:			
აქტუარული მოგება(ზარალი) დადგენილ შენატანიან პროგრამაზე		(19)	616
სხვა სრული შემოსავალი(ზარალი) პერიოდის განმავლობაში, მოგების გადასახადის გამოკლებით		(19)	616
სულ სრული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში		45,507	30,910
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე		0.00040	0.00027

ხელმოწერის ხელმოწერა



წლიური ბალანსი 2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	30 ივნისი 2023	31 დეკემბერი 2022
		ათასი ლარი	ათასი ლარი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>8</u>	379,142	361,823
აქტივები გამოყენების უფლებით	<u>9</u>	1,550	1,372
არამატერიალური აქტივები	<u>10</u>	1,139	916
რესტრუქტ. დებიტ. დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი	<u>11</u>	248	300
სხვა გრძელვადიანი აქტივები		74	74
		<u>382,154</u>	<u>364,485</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	<u>12</u>	6,262	6,311
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	<u>11</u>	24,281	31,575
გადახდილი ავანსები	<u>13</u>	10,474	9,751
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია		331	323
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	<u>14</u>	12,865	623
		<u>54,215</u>	<u>48,583</u>
სულ აქტივები		<u>436,369</u>	<u>413,068</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		112,429	112,429
დამატებითი შენატანები კაპიტალში		25,748	25,747
სხვა რეზერვები		699	718
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		164,284	118,757
სულ		<u>303,160</u>	<u>257,651</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტუანი სესხები და თამასუქები	<u>15</u>	22,390	34,890
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე		760	922
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	<u>16</u>	1,741	1,649
სახელმწიფო გრანტი		32	64
საიჯარო ვალდებულებები		890	769
სხვა ვალდებულებები		1,018	861
		<u>26,832</u>	<u>39,155</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტუანი სესხები და თამასუქები	<u>15</u>	17,799	24,158
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	<u>17</u>	65,456	67,066
სახელმწიფო ვალდებულებები		2,066	1,820
მიღებული ავანსები		14,747	13,910
სახელმწიფო სუბსიდიები		158	158
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	<u>16</u>	165	152
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	<u>18</u>	3,776	7,018
საიჯარო ვალდებულებები		730	669
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე		1,325	1,155
გადასახდელი დივიდენდი		61	61
სხვა ვალდებულებები		94	95
		<u>106,377</u>	<u>116,262</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>436,369</u>	<u>413,068</u>

ბელმხდვანელის ხელმოწერა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

პირდაპირი მეთოდი

6 თვე	12 თვე
2023	2022
ათასი ლარი	ათასი ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:

მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	156,414	312,056
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(26,902)	(74,355)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(38,825)	(63,385)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(24,607)	(54,095)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(8,039)	(25,582)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	58,041	94,639
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	58,041	94,639

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა დღგ-ს ჩათვლით	(22,719)	(69,522)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	-	209
საბანკო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	129	135
გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(22,591)	(69,178)

ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან :

სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების მიღება	-	-
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა	(20,003)	(11,650)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(486)	(1,032)
გადახდილი დივიდენდი	-	-
გადახდილი პროცენტები	(2,451)	(12,640)
სხვა გადახდილი ფინანსური ხარჯები	-	(139)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(22,940)	(25,461)

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება

12,510	-
--------	---

ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

(267)	(550)
-------	-------

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში

623	1,173
-----	-------

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს

12,865	623
--------	-----

ბელმძღვანელის ხელმოწერა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	სხვა რეზერვები	აკუმულირებული მოგება (ზარალი)	ჯამი
ათასი ლარი					
2022 წ. 1 იანვრის მდგომარეობით	112,429	25,747	(201)	39,923	177,898
წლის ზარალი				78,834	78,834
წლის სხვა სრული შემოსავლები			919		919
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	919	78,834	79,753
2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	112,429	25,747	718	118,757	257,651
წლის მოგება	-	-		45,527	45,527
წლის სხვა სრული შემოსავლები	-	-	(19)		(19)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	(19)	45,527	45,507
2023 წ. 30 ივნისის მდგომარეობით	112,429	25,747	699	164,284	303,158

ბელმძღვანელის ბელმოწერა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან
შენიშვნა 1

	6 თვე 2023 ათასი ლარი	6 თვე 2022 ათასი ლარი
ამონაგები განაწილებიდან	103,019	98,165
ელექტროენერგიის ტრანზიტი	6,127	4,919
	109,146	103,085

სხვა შემოსავალი
შენიშვნა 2

	6 თვე 2023 ათასი ლარი	6 თვე 2022 ათასი ლარი
სამონტაჟო და სარემონტო მომსახურება	15,708	11,507
მოსაკრებლები ბილინგიდან და გადახდების მიღება	1,528	1,800
შემოსავალი იჯარიდან	598	673
შემოსავალი რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებაზე დარიცხული დისკონტის ამორტიზაციიდან	74	119
სახელმწიფო სუბსიდიები Covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით	-	-
მომხმარებლების მიერ გადმოცემული აქტივები	73	103
სახელმწიფო სუბსიდიები	32	47
კრედიტორული დავალიანების და მიღებული ავანსების ჩამოწერა	-	83
შემოსავალი გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	2,070
სხვა შემოსავლები	1,692	1,760
	19,705	18,163

შესყიდული ელექტროენერგია
შენიშვნა 3

	6 თვე 2023 ათასი ლარი	6 თვე 2022 ათასი ლარი
ელექტროენერგიის დანაკარგის შესყიდვა	(12,748)	(16,428)
ელექტროენერგიის გადაცემა	(3,784)	(3,690)
	(16,532)	(20,117)

ხელმძღვანელის ხელმოწერა

ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის
შენიშვნა 4

ხელფასის ხარჯი
თანამშრომლების სხვა სარგებელი

6 თვე 2023	6 თვე 2022
ათასი ლარი	ათასი ლარი
(34,113)	(31,149)
(3,169)	(2,683)
<u>(37,282)</u>	<u>(33,832)</u>

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა
შენიშვნა 5

ელექტროენერგიის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების
გადასახადი
ქონების გადასახადი
სხვა

6 თვე 2023	6 თვე 2022
ათასი ლარი	ათასი ლარი
(465)	(193)
(1,153)	(1,049)
(762)	(2,489)
<u>(2,380)</u>	<u>(3,731)</u>

ბელმძღვანელის ხელმოწერა



სხვა საოპერაციო ხარჯები
შენიშვნა 6

	6 თვე 2023 ათასი ლარი	6 თვე 2022 ათასი ლარი
ჯარიმები და საურავები	(2,306)	(5,031)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(2,060)	(2,305)
დაზღვევა	(1,417)	(1,538)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(1,673)	(1,531)
ოფისის იჯარა და ტექნიკური მომსახურება	(865)	(774)
საწევრო შენატანები	(393)	(248)
ზარალი მარაგებზე, რომელიც ასახულია რეალიზაციის წმინდა ღირებულებით	-	-
ტრანსპორტირების ხარჯები	(460)	(488)
პროფესიული მომსახურება	(415)	(475)
სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები	(319)	(288)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი	(268)	(2,247)
ინვესტიციების ექსპერტიზის ხარჯები	(218)	(127)
კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯები	(92)	(147)
ქველმოქმედება და სოციალური ხარჯები	(129)	(97)
საკანცელარიო საქონელი	(127)	(112)
რესტრუქტურისებული დებიტორული დავალიანების საწყისი აღიარების შედეგად მიღებული ზარალი	(26)	(21)
სხვა	(2,325)	(4,524)
	(13,093)	(19,954)

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები
შენიშვნა 7

	6 თვე 2023 ათასი ლარი	6 თვე 2022 ათასი ლარი
საპროცენტო შემოსავლები:		
საპროცენტო შემოსავლები დეპოზიტების მიხედვით	130	78
ცვლილება რეზერვების დროით გაანგარიშებაში	-	-
საპროცენტო შემოსავლები დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული კრედიტების მიხედვით	-	-
	130	78
საპროცენტო ხარჯები:		
საპროცენტო ხარჯები	(3,678)	(4,813)
ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება	(75)	(65)
საპროცენტო ხარჯი იჯარის ვალდებულებებზე	(95)	(109)
სხვა ფინანსური ხარჯები	-	(234)
	(3,848)	(5,221)

ბელმძღვანელის ხელმოწერა

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანები და მოწყობილობები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	ავტო სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი შენებლობა და სათადარიგო ნაწილები	ჯამი
თვითღირებულება:							
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	11,362	36,388	419,304	24,247	11,501	28,869	531,671
ძირითადი საშუალებების ნამატი	44	49	100	-	-	50,909	51,102
შიდა გადაცემა	27	721	49,282	1,565	74	(51,669)	-
აქტივების გასვლა	(15)	(23)	(3,106)	(812)	(135)	-	(4,091)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,418	37,135	465,580	25,000	11,440	28,109	578,682
ძირითადი საშუალებების ნამატი	172	161	1,398	-	-	25,313	27,044
შიდა გადაცემა	25	278	19,760	614	2	(20,679)	-
აქტივების გასვლა	(32)	(56)	(1,204)	(332)	(11)	-	(1,636)
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	11,583	37,518	485,534	25,282	11,431	32,743	604,090
აქუმულირებული ცვეთა:							
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,609	17,371	152,893	19,605	8,773	-	202,251
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	-	610	13,954	1,300	553	-	16,417
გასხვებისა და ჩამოწერა	-	(11)	(911)	(770)	(117)	-	(1,809)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,609	17,970	165,936	20,135	9,209	-	216,859
ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში	0	302	7,560	697	248	-	8,807
გასხვებისა და ჩამოწერა	-	(27)	(375)	(308)	(8)	-	(718)
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	3,609	18,245	173,121	20,523	9,450	-	224,948
ნაშთი 31.12.2022	7,809	19,165	299,644	4,865	2,231	28,109	361,823
ნაშთი 30.06.2023	7,974	19,273	312,413	4,758	1,981	32,743	379,142

ბელმძღვანელის ხელმოწერა

	მიწის გამოყენების უფლება	შენობების გამოყენების უფლება	მანქანები და მოწყობილობების გამოყენების უფლება	ჯამი
თვითღირებულება:				
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	172	4,725	159	5,056
ძირითადი საშუალებების ნამატი	60	605	-	665
აქტივების გასვლა	(84)	(189)	-	(273)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	148	5,141	159	5,448
ძირითადი საშუალებების ნამატი	135	411	-	546
აქტივების გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	283	5,552	159	5,994
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	91	3,276	59	3,426
ღარიცხვა წლის განმავლობაში	21	717	10	748
გასვლები	(30)	(68)		(98)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	82	3,925	69	4,076
ღარიცხვა წლის განმავლობაში	13	350	5	368
გასვლები	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	95	4,275	74	4,444
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.	66	1,216	90	1,372
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	188	1,277	85	1,550

არამატერიალური აქტივები
შენიშვნა 10

	პროგრამული უზრუნველყოფა
ნაშთი 01.01.2022	8,971
შესყიდვები	206
ნაშთი 31.12.2022	9,177
შესყიდვები	392
ნაშთი 30.06.2023	9,569
ამორტიზაცია	
ნაშთი 01.01.2022	7,968
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	293
ნაშთი 31.12.2022	8,261
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	169
ნაშთი 30.06.2023	8,430
ნაშთი 31.12.2022	916
ნაშთი 30.06.2023	1,139

ხელმძღვანელის ხელმოწერა



რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანება

შენიშვნა 11

	30 ივნისი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
	ათასი ლარი	ათასი ლარი
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება	322	399
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(74)	(99)
	<u>248</u>	<u>300</u>

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

შენიშვნა 11

	30 ივნისი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
	ათასი ლარი	ათასი ლარი
საყოფაცხოვრებო სექტორი	29,023	29,180
კომერციული და სამრეწველო სექტორი	10,464	9,946
სახელმწიფო სექტორი	1,601	1,552
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, მოკლევადიანი ნაწილი	292	406
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(39,561)	(39,163)
	<u>1,819</u>	<u>1,921</u>
სულ, სავაჭრო დებიტორული დავალიანება, მოკლევადიანი ნაწილი		
სხვა დებიტორული დავალიანება არადაკავშირებული მხარეებისგან	3,626	5,101
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(1,354)	(939)
სხვა დებიტორული დავალიანება საერთო მმართველობის ქვეშ არსებული ორგანიზაციისგან	20,190	25,492
	<u>24,281</u>	<u>31,575</u>
სულ, სხვა დებიტორული დავალიანება მოკლევადიანი ნაწილი		

სასაქონლო მატერიალური მარაგები

შენიშვნა 12

	30 ივნისი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
	ათასი ლარი	ათასი ლარი
მასალები და საქმიანობის წარმოებისათვის საჭირო მომარაგების საგნები	3,815	3,530
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2,447	2,781
	<u>6,262</u>	<u>6,311</u>

ბელმბეგანელის ხელმოწერა

გადახდილი ავანსები
შენიშვნა 13

	30 ივნისი 2023 წელი ათასი ლარი	31 დეკემბერი 2022 წელი ათასი ლარი
მიწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	10,042	7,961
სხვა ავანსები	489	440
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(102)	(47)
	10,429	8,354
დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები	45	1,397
	10,474	9,751

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
შენიშვნა 14

	30 ივნისი 2023 წელი ათასი ლარი	31 დეკემბერი 2022 წელი ათასი ლარი
მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაზრები	12,687	487
კორპორაციული ბარათები	178	136
	12,865	623

პროცენტული სესხები და თამასუქები
შენიშვნა 15

	30 ივნისი 2023 წელი ათასი ლარი	31 დეკემბერი 2022 წელი ათასი ლარი
გრძელვადიანი		
საქართველოს კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები	5,000	15,000
სესხები საერთო მმართველობის ქვეშ არსებული კომპანიებისგან	17,390	19,890
	22,390	34,890

მოკლევადიანი
საქართველოს კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები მიმდინარე
ნაწილი

სესხები საერთო მმართველობის ქვეშ არსებული კომპანიებისგან, მიმდინარე ნაწილი	10,514	14,041
	7,285	10,117
	17,799	24,158

ხელმძღვანელის ხელმოწერა

შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები

შენიშვნა 16

	30 ივნისი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
	ათასი ლარი	ათასი ლარი
1 იანვრის მდგომარეობით	1,801	2,541
მიმდინარე პერიოდის მომსახურების ღირებულება	30	95
ხარჯები პროცენტების გადახდაზე	83	159
აქტუარული შემოსავლები, დემოგრაფიულ დაშვებებში ცვლილებებიდან გამომდინარე	274	(245)
აქტუარული ცვლილებები ფინანსური დაშვებების ცვლილებებიდან გამომდინარე	(42)	(756)
კორექტირება საპენსიო გეგმის ვალდებულებებთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე	(213)	82
გადახდილი ანაზღაურება	(27)	(75)
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,906	1,801
მიმდინარე	165	152
გრძელვადიანი	1,741	1,649
	1,906	1,801

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

შენიშვნა 17

	30 ივნისი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
	ათასი ლარი	ათასი ლარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ელექტროენერგიის მიმწოდებლების მიმართ	40,908	49,319
ფაქტორირებული დავალიანების დათმობა	-	-
სხვა	24,548	17,747
	65,456	67,066

ხელმძღვანელის ხელმოწერა



საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა
შენიშვნა 18

	30 ივნისი 2023 წელი ათასი ლარი	31 დეკემბერი 2022 წელი ათასი ლარი
წინასწარ გადახდილი გადასახადები:		
სხვა წინასწარ გადახდილი დავალიანებები	1,001	-
გადასახდელი დღგ	3,256	2,888
	<u>4,257</u>	<u>2,888</u>
საგადასახადო ვალდებულებები		
დავალიანება დღგ-ზე	6,491	7,971
გადასახადი ფიზიკური პირის შემოსავლებზე	477	511
ქონების გადასახადი	85	156
სხვა საგადასახადო დავალიანებები	980	1,268
	<u>8,033</u>	<u>9,906</u>
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	<u>3,776</u>	<u>7,018</u>

ბელმძღვანელის ხელმოწერა



ფინანსური ანალიზი

შენიშვნა 19

30 ივნისი 2023

31 დეკემბერი 2022

შემოსავალი ერთ აქციაზე (EPS)	შემოსავალი ერთ აქციაზე/ბრუნებაში არსებული აქციებს საშუალო შეწონილი რაოდენობა	0.4049	0.2749
აქციის საბაზრო ფასის შეფარდება აქციაზე წმინდა შემოსავალთან	აქციის საბაზრო ფასი/აქციაზე წმინდა შემოსავალი	2	4
აქციის შემოსავლიანობა	წლიური დივიდენდები/აქციის საბაზრო ფასი		
სავალო კოეფიციენტი	სულ ვალდებულებები/სულ საკუთარი კაპიტალი	44%	60%
უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე	საოპერაციო მოგება/საოპერაციო აქტივები	11%	9%
მოგების მარჟა	წმინდა მოგება/გაყიდვები	42%	29%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები	0.51	0.42
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები—მარაგები/მიმდინარე ვალდებულებები	0.45	0.36

ბელმძღვანელის ხელმოწერა

